სამშობლო

პარასკევი 17 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის [illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებანი [illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 131 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 131

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეული“ ამა ხუთ ივლისიდან თფილისში დაიწყეთ ღვინით ვაჭრობა. რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის, კახეთის და სხვა ღვინოები.
თფილისი, ოდდს ქუჩა, სახლი № 8. 5—3.

20 კვირკობისთვეს გადაცვალების თუთხმეტი წლის თავზე

ილია ლუკას ძის ბახტაძის

(ილია ხონელი)

სულის მოსახსენებლად, დაბა ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და პატივისმცემელთ მისი დედა, დები და ძმები. 2—1—519

მატრონე პეხულას ასული ბერიშვილისა, შვილები: ვერა, ეორეი და ფაცია ბერიშვილები და პორფილე ბერიშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასისა და დაუვიწყარი ქმრისა, მეორენი საყვარელი მამისა, ხოლო უკანასკნელი ბიძაშვილის

მელიტონ ბერიშვილისას,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 19 ივლისს. რის გამო უმორჩილესად სთხოვენ მეგობარ-ნაცნობებს დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას. ცხედარს გამოასვენებენ ქალაქის საავთმყოფოდან ზემო აღნიშნულ რიცხვს სრულ ცხრა საათზე და მოასვენებენ მთავარანგელოზის ეკლესიაში, საიდანაც წირვისა და პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავათ საფიჩხიის სასაფლაოზე. უფ.

დაიკარგა ძაღლი.

ფინია, (Комнатная собака) შემდეგ ნიშნების: ტანათ პატარა, ფერათ თეთრი, უკუდო, შავი ნიშანი აქვს თავზე, მარცხენა თვალზე და უკანა ფეხზე. მპოვნელს სთხოვენ მიიყვანოს სახელმწიფო ქონებათა სამართველოს უფროსთან ობორინის შესასვევში ქებ. სახლში, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნტროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწეისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ეოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშმიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარქეიანი ქალაქ. საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.

ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური მისამართი: ვენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობის დებულობს დილის 7 საათ.

მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშაისი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 16 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I.

სიკვდილის ტელეფონი.

სამ ნაწილათ, ინჟ. ბულვერის თავგადასავალიდან ვალტერ დიკენსის მონაწილეობით. ტურჩინსკის სცენარიუმი.

II.

მ. ი. უ. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს მის დასათვლავება.

III.

მხიარული კომედია **სიყვარულის ღმერთი** მხიარული კომედია

ანონსი: ორშაბათიდან, 20 ივლ. ნაჩვენები იქნება: **ცოდვის აჩრდილი.**

სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კორალლის მონაწ.

ქუთ. რეალური სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულების თანახმათ, სთხოვს ქუთაისში საზაფხულოდ დარჩენილ მოწაფეთა მშობლებსა და ნათესავთ, მობრძანდნენ რეალური სასწავლებლის შენობაში 1915 წ. კვირას, 19 ივლისს, დილის 11 საათ. დანიშნულ კრებაზე, მოწაფეების კლასს გარედ ეოფაქცევისა და მისი მოწესრიგებისათვის ზომების გამოსამუშავებლათ.

ქუთ. რეალური სასწ. დირექტ. თან. აღმასრულებელი. 3—1.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 ივლ. ოფიც. მთავარ სარდლის შტაბისაგან. მიტავის დასავლეთით და სამხრეთით 13 ივლ. ჩვენთვის სახეირო შეტაკებები იყო. პონევეჟიდან მომავალი მტერი 13 ივლ. შევაჩერეთ დაბა სუბოჩთან. ჩვენმა მძიმე არტილერიამ მტერი დიდათ დააზიანა. ნარევის ფრონტზე არტილერიის ცხარე ბრძოლაა. ივანგოროდთან მტერი სცდილობს მდინარეზე გადმოსვლას, 14 ივლ. მდ. შკვის შესართავთან მან შესძლო ჩვენი სანგრების ერთი ნაწილის აღება მდინარის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ მალე მტერი მდინარის იქით უკუვაგდეთ. ნარევის მარცხენა ნაპირზე დობროლენკიდან მდ. პრუტამდი სასტიკი ბრძოლაა. აქ ბრძოლის ფრონტი არ შეცვლილა. ნარევის მარჯვენა ნაპირზე მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს წინააღმდეგ. სოფ. ბუდნობრეკვსთან ჩვენ მოვიგერეთ მტრის ექვსი იერიში. ვისლის მარცხენა ნაპირზე და ამ მდინარესა და ვეპრეს შუა ცვლილება არ მომხდარა. ბუგსა და ვეპრეს შუა 14 ივლ. ღამით ბრძოლა გრძელდებოდა და რეკოლუნი, მაიდანის რაიონში. მოვიგერეთ მტრის სამი იერიში მაიდანის ჩრდილოეთით. ჩვენმა ჯარმა აქ შეტევა დაიწყო, ხსენებული სოფელი დაიკავა და 1500 კაცი ტყვეთ წამოიყვანა. გრუბეშოვის გეზით მტერს სასტიკი იერიშები მოაქვს. სოფ. პტენიანკოვიცეს ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერეთ სამი იერიში, რომლითაც მტერს ჩვენი ფრონტის გარღვევა სურდა. სოკალის სამხრეთით ჩვენ სახეიროთ ვმოქმედობთ პოტურჟიცთან გადმოსულ მტრის წინააღმდეგ. 14 ივლ. დილით ჩვენი ჯარი შეეჭრა მტრის მაღლობებზე და მრავალი ტყვე წამოიყვანა. მტერმა ახალი ძალები მოიშველა. ბრძოლა გრძელდება. ზემო ბუგზე და ზემო ზოლ. ლიპაზე არტილერიის სასტიკი ბრძოლაა. აქ გერმანელთა მცირე რაზმები სცდილობენ წინ წაწევას.

გემის ჩაძირვა.

კოპენჰაგენი. 14 ივლ. გოტენბურგიდან მდ. ტაინისკენ მიმავალი შპალებით დატვირთული დანიის გემი „მოგილი“ ჩრდილო ზღვაში ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა. კომანდა გადმოსხეს ვილჰელმს-ჰაფენში.

სპარსეთი.

თეირანი. 14 ივლ. ცნობაა რომ ოთხი გერმანელი აგიტატორი 40 შეიარაღებული სპარსელის თანხლებით მოვიდა ქაინში. აქ ერთი გერმანელი ირწმუნებოდა, თითქოს ის ელჩი ყოფილიყოს და მოითხოვა ადგილობრივი მთავრობისაგან სათანადო პატივისცემა. ამის შემდეგ ისინი გაემგზავრენ ბირჯანდუსკენ. თეირანში ისევ გაძლიერდა გერმანელთა აგიტაცია. გერმანელთა დიპლომატია აშკარათ ურჩევს სპარსელებს მიემხრონ გერმანელებს, ამასთანავე პირდება ფართო ავანსს უგარანტიოთ. მაშირუდ-დოულეს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია კაბინეტის შედგენა. კრიზისი გრძელდება.

რუმინია.

ბუქარესტი. 14 ივლ. ოფიციალური „ვიკტორული“ უპასუხებს გაზეთ „ეპოქას“, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუმინიით ოსმალეთში გადის მრავალი ვაგონი სამხედრო სურსათით. „ვიკტორული“ კატეგორიულათ ამტკიცებს, რომ შეუძლებელია რუმინიით გაატარონ რაიმე სამხედრო სურსათი, რადგანაც განკარგულებაა, დაათვალიერონ ყველა ვაგონები, და არასოდეს არ შეუნიშნავთ ვაგონებში არა თუ სურსათი ერთი თოფიც კი.

ახალშენებზე.

პარიზი. 14. ივლისი. საფრანგეთის ეკვატორ. აფრიკის გუბერნატორი იუწყება საფრანგეთის ჯარის გამარჯვების შესახებ კამერუნის აღმოსავლეთ რაიონში. ბრწყინვალე ბრძოლის შემდეგ მონსოსთან, ბეზამასთან და ასობანასთან, ჩვენმა ჯარმა დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ლონგო, რომელიც მტერმა დასცალა 12 ივლისს. ნეზემენას მთელი რაიონი აჯანყდა გერმანელების წინააღმდეგ. უკან დახევის დროს გერმანელები სწვავენ სოფლებს. ფრანგები წინ მიიწევენ ბნიაპტენისკენ და კავშირი დაიპირეს ფრანგების მეორე კოლონასთან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ნგანქელამდი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 14 ივლ. დღის ოფ. ცნობა. ფიურნეს წინააღმდეგ სროლის შემდეგ, ჩვენის მხრით საპასუხო სროლა ასტყდა გერმანელების პოზიციების წინააღმდეგ. გერმანიის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა დიუნკერკში, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია. არტუაში და სუშეს სექტორში საარტილერიო სროლა იყო. არგონებში გერმანელებმა ორჯერ სცადეს იერიშის მოტანა ლაიონ, ბონარვილ, ლაგარაზესთან, მაგრამ ადვილათ მოვიგერეთ. ვოგეზებში გუშინ საღამოთი ჩვენ გავამაგრეთ პოზიციები ლინსკოპფის მაღლობზე. ჩვენ დავიკავეთ ლენდსა და კარიერს შუა გასავალი. მტერმა სამჯერ უშედეგოთ სცადა იერიშის მოტანა. გერმანიის არტილერია ესროდა შლუხტის უღელტეხილს.

პარიზი. 14 ივლ. საღამოს ოფ. ცნობა. არტუაში და სუშეს სექტორში სროლა დიდის სიმკაცრით განახლდა. არასს ორჯერ ესროლეს, გაჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე ჩავაქრეთ. ერთი მოქალაქე მოკლულია. მდ. სომიდან ენამდი ჩვენი და მტრის არტილერიის ჩვეულებრივი მოქმედებაა. არგონებში სროლაა. ელზასში ჩვენმა ჯარმა საბოლოოთ დაიკავა ძლიერ გამაგრებული მტრის პოზიციები, რომელიც გერმანელებს ეკავათ ჩვენი სანგრების 900 მეტ. სიმაღლეზე, პინკენკოპფის, სახარტსმანელე—ბარენკოპფის სიმაღლეზე, ე. ი. ორი კილომეტრის სივრცეზე. ეს მაღლობები ბატონობენ ფეხტის ხეობას და ნოტრ-დამ-დეტრუასენის

გზაზე. დავატყვევეთ რამდენიმე აფიცერი და 100 მეტი ჯარის კაცი.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 14 ივლ. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ალიონზე ავსტრიის მსუბუქმა კრეისერმა და ოთხმა კონტრ-ნაღმოსანმა ესროლა ადრიატიკის ზღვასა და სინიგალიის შუა მდებარე რკინის გზის ზოგიერთ ადგილებს, რამდენჯერმე ესროლეს აგრეთვე ქალ. ფანოსა და სინიგალიას. ამავე დროს ორმა ჰიდროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა ანკონში. მაგრამ არც საზღვაოსა და არც საჰაერო სროლას დიდი ზიანი არ მიუყენებია.

რომი. 14 ივლისი. მთავარ ბინის ცნობა. დაონის ხეობაში ჩვენ საბოლოოდ დავიკავეთ მარჯვენა ფერდობზე სიმაღლეები, მონტელა ვაშის სიმაღლის დაკავების შემდეგ მტრის არტილერია სცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენი ოპერაციებისათვის, მაგრამ ვერას გახდა. სამზადისის შემდეგ მტერმა 13 ივლისს საიერიშოთ გამოგზავნა ქვეითა ჯარი, მაგრამ ის ჩვენ გავდევნეთ. მონტენეროს რაიონში ცხარე ბრძოლა გრძელდება. პლავის სექტორში ჩვენი მოქმედება წარმატებით სწარმოებს ადგილის გასაფართოებლათ. გუშინ კარსოსთან სასტიკი ბრძოლა იყო. ჩვენმა ჯარმა დაიკავა ძლიერ გამაგრებული პოზიცია სანმიშელი, მაგრამ აქ მტრის მრავალ-რიცხოვან ბატარეის მოქმედებას ვერ გაუმკლავდენ და უკან დაიხიეს. ცენტრში ჩვენ წინ წავიწიეთ სანმარტინოს ხეობაში. მტერი სანგრებიდან გამოვრეკეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 3200 კაცი, მათ შორის ერთი პოდპოლკოვნიკი და 41 აფიცერია. ვიხელეთ 5 ტყვიის მფრქვეველი, ორი ნაღმის მფრქვეველი, მრავალი თოფი და მრავალი სამხედრო სურსათი.

დარდანელი.

ათინა. 14 ივლისი. მიტილენიდან იუწყებიან: გუშინ ღამით სროლის ხმა ისმოდა სრუტეების მხრით. მოკავშირეები ესვრიან მტრის ბატარეებს ზაიის მხარეზე, რადგან ეს ბატარეები ხელს უშლიან მოკავშირეთა ჯარის თავისუფლად მოძრაობას. ამასთანავე სროლა გრძელდება აჩიბაბას პოზიციების წინააღმდეგ. მალტის სასამართლომ გადასწყვიტა დაუბრუნდეს გემი „კალუმნოსის“ საქონელი საბერძნეთის ქვეშევრდომთ. იგივე სასამართლო ახლა არჩევს საქმეს სგვა გემების ტვირთის შესახებაც. იმედი აქვთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება. მეფის მდგომარეობა უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა. ძალა ემატება და ახლა სრულიად ჯან-საღად არის.

შავ ზღვაზე.

სევასტოპოლი. 14 ივლისი. დღის განმავლობაში ოსმალეთის წყლებში ჩვენმა ნაღმოსნებმა მოსპეს ორმოცზე მეტი იალქნიანი გემი.

რუსეთი.

ოდესა. 14 ივლისი. დაბეჭდეს და დახურეს ზინგერის კომპანიის მთავარი კანტორა და 25 მაღაზია.

ახალგაზდების ჯარში გაწვევა.

პეტროგრადი. 14 ივლისი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება იმ ახალგაზდათა ჯარში გაწვევის შესახებ, რომელნიც დაიბადენ 1896 წელს. გამოცხადების პირველ დღეთ დანიშნულია 7 აგვისტო.

ქურნალ გაზეთებიდან.

გერმანელების ახალი იერიში კურლანდიაზე.

გერმანიის ჯარის გაძლიერება ლიბავასა და ვინდავას რაიონში მოხდა ზღვიდან. ლიბავასთან გერმანელებმა გადმოსხეს ერთი კორპუსი. იქ, სადაც ნაპირები დაპერილია გერმანიის ჯარით, გერმანელებმა ეს ჯარი გაანაწილეს გაზენპოტის, ციერაუ-პრიკენის, ალშვანგენის, უჩავას ხაზებზე და წამოვიდენ მდინარე ვინდავას ხაზზე.

მტრის იერიში შრუნდენ პოპელიანის ხაზების მხრივ სუსტათ სწარმოებს. ამ ხაზზე გერმანელების უმთავრესი შეტევა მიმართულია მუროვიოვის წინააღმდეგ, სადაც ისინი გამოჩნდენ 3 ივლისს დილით. გერმანელები მთელიხ ძალ ღონით ცდილობენ წამოწევას მურავიოვო-მიტავის რკინის გზის ლიანდაგზე.

მიტავაში.

მცხოვრებთა სულიერი მდგომარეობა შედარებით მშვიდია. უმრავლესობამ ქალაქი დასტოვა და დროებით რიგაში გადასახლდა.

ამ დღეებში მიტავაში დაიწვა დიდი ქარხანა, სადაც მუშაობა ერთი კვირის წინათ შეჩერებული იყო. მისი მესაკუთრე გრებნერი, როგორც გერმანელი, მიტავიდან განდევნილი იყო. ცეცხლი გადავიდა ექვს ქარხანის შენობაზე, რომელიც ფერფლათ იქცა. ცეცხლის მიზეზი გამოურკვეველია.

ვილჰელმის მე-8 შვილისშვილი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ იმპერატორ ვილჰელმის მესამე ვაჟს ოსკარ პრუსიელის მეუღლეს ვაჟი შეეძინა. ეს უკვე მე-8 შვილისშვილია ვილჰელმისა. ოსკარ პრუსიელმა ჯვარი დაიწერა გრაბინია უასსევიც-ლევეკოვზე, რომელმაც შემდეგ მიიღო გრაფინია რუპინის გვარი ომის დაწყების წინა დღეებში.

ეხლახან პრინცი ოსკარი დასავლეთ ფრონტზე იმყოფება გრენადერის პოლკის უფროსათ.

რიგა. ლიბავაში ძრიელ გავრცელდა დეზინტერია. ეპიდემიის მიზეზი ცუდი პურია. ქალაქში ჩხრეკაა. ვისაც აღმოუჩენენ ნაბრძანებ წონაზე მეტს პურს, სამხედრო სასამართლოში აძლევენ. ლიბავის მიდამოებში გერმანელები გლეხებს აჩქარებენ მოსავლის მოკრეფაში. გერმანიის ჯარისკაცნი მცხოვრებლებს ეუბნებიან, რომ მოსავლის შემდეგ 18—47 წლამდი მამაკაცებს გაგზავნიან გერმანიაშიო.

ხუთი მანდილოსანის დასჯა ავსტრიაში.

ციურიხიდან იტყობინებიან, რომ 5 მანდილოსანი, რომლებიც ეკუთნოდენ პოლონეთის უმაღლეს წრეს და რომელთაც ვენის არისტოკრატია კარგათ იცნობდა, ორი კვირის წინათ დაპერილნი იყვნენ ვენაში. მათ ბრალდებოდათ რუსეთის სასარგებლოთ ჯაშუშობა. სასამართლომ იგინი დამნაშავეთ იცნო და მეორე დღესვე ვენის არსენალში ხუთივე ჩამოახრჩეს. მსაჯული, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა იძულებული იყო დასწრებოდა განაჩენის სისრულეში მოყვანას. სანახავობა იმდენათ გულის შემზარავი იყო, რომ ღრმათ შეძრწუნებული მსაჯული ქაუიდან შეიშალა და დღეს საგიჟეთში იმყოფება.

ოსმალეთი და ბულგარეთი.

გერმანელი ოფიციოზის ცნობით, ბულგარეთისა და ოსმალეთის მორიგება სულ მალე მოხდება.

„კელნიშე ცაინტუნგს“ სოფიიდან ატყობინებენ, რომ ოსმალეთი პრინციპიალურათ მზათ არის დაკმაყოფილოს ბულგარეთის სურვილი მომავალ კეთილ მეზობლურ განწყობილებისათვის. ერთად ერთი სადაო პუნკტი, ეს ადრიანოპოლის ოლქის განსაზღვრაა, რომელიც, ოსმალების აზრით, მათ ხელში უნდა დარჩეს.

ოსმალეთს სურს ადრიანოპოლის მიდამოს შეუერთოს კარაგაჩი, რაზედაც ბულგარელები არ სთანხმდებიან, რადგან ასეთი განსაზღვრა არღვევს რკინის გზის მიმოსვლას ბულგარეთის ახალ შეძენილ ადგილებთან.

შვეიცარიის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსის ფრონტზე გერმანელების დიდი ჯარის გადმოყვანა გრძელდებაო.

რიგა-შაველის მიდამოებში გერმანიის ჯარს ხელმძღვანელობს გენერალი ფონბიულოვი.

კოპენჰაგენი. ელზასელი დეპუტატი ბროლი გერმანიის სამხედრო მთავრობამ 10 წ. ციხეში დაპატიმრებით დასაჯა ფრანგ აფიცრებისათვის სამხედრო ცნობის მიწოდებისათვის.

რუსული ბრესა.

„status quo“.

„მოსკოვ. ვედ“. ეხება მთავრობაში მოხდარ ცვლილებას და ის დასკვნა გამოყავს, რაც „ზემშჩინას“:

„დღევანდელი მომენტის გამო ჩვენ დამტკიცებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში არავითარს ახალ ცვლილებას არ უნდა მოველოდეთო.

მთავრობა თავის მოვალეობათ სთვლის ომის დასრულებამდი სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში მტკიცეთ დაიცვას status quo. იგი დღევანდელი მომენტისა და საერთო მდგომარეობის მიხედვით, უნდა იყოს მტკიცეთ კონსერვატიული.

ამ ჟამათ სახელმწიფოში თართო რეფორმების მოხდენა შეუძლებელია, რადგანაც იგი გაანგვიებს პარტიულ უთანხმოებას შეიტანს ცხოვრებაში ძალების დაქსაქსვას და ჩამოაგდებს კანხეთქილებას. ჩვენთვის კი საჭიროა ერთსულოვნობა, რომელიც იქნება ერთად-ერთი თავდები მტრის დამარცხებისათვის“.

ამაზედ „დენი“ შენიშნავს:

ამ ნაირათ, „status quo“ რუსული ენით რომ გადავთარგმნოთ „თეთრი ხბოს ზღაპარს“ მოგვაგონებს. გასული მინისტრები მხოლოდ იმას ესწრაფოდენ, რომ „status quo“ დაეცვათ, რასაც შედეგათ მოჰყვა პარტიობა, განხეთქილება და ახალი ჯგუფის შექმნა ომიანობის დროს. და თუ ამ ჯგუფის შექმნის შემდეგაც მტკიცეთ დაცული იყო, „status quo“, მაშინ რაღა საჭირო იყო „ბოსტნის შემოღობვა“?

დ.

დახურული სათათბირო.

ყველა პარტიის ყურადღება იქითაა მოქცეული, თუ რაზე ილაპარაკონ სათათბიროში და ან როგორ უშველონ მხარეს.

„ზემშჩინა“ კი თავრიდის სასახლის გარშემო დასტრიალობს და კარებს შინჯავს, მაგრათ აძევს კლიტეები თუ არა. მისი აზრით, თუ თავრიდის სასახლის კარები მაგრათ დაკეტილია, მაშინ ყველა საქმეც წესიერათ იქნება:

რომ სათათბიროს ტრიბუნა დეპუტატებმა სსაგიტაციოთ არ გამოიყენონ და თავიდან ავიცილოთ სხვა და სხვა მიკლუკოვების მოწოდება ხალხისადმი რაიმე სახიფათო ნაბიჯის გადადგმისაკენ, საჭიროა, ამბობს გაზეთი, ყველა საკითხი, რაც კომიანობას შეეხება, დახურულ კარებში იყოს გარჩეული“.

ამგვარათ იგივე „დენი„ შენიშნავს უპეტებს წერილს:

ვიდრე სახელმწიფო სათათბირო გაიხსნებოდეს, საჭირო ყოფილა მისი დახურვა, რომ ბ. გლინკა არ შეწუხდეს.

ძლიერ ძვირათ უჯდება რუსეთს ბ.ბ. გლინკების მშვიდობიანობა.

ახალი ამგვარი

ბათუმი.

აპარლების იურიდიულ დამხმარეებ ქილთა ქუთაისის ბიუროს დაადგინა გაგზავნოს ბათუმში ვექილები ცნობების შეესაკრებათ. ვექილთა ბიუროს გასაგზავნათ ამოირჩია გრ. ლაღიძე და ილ. ფირცხალაშვილი. უკანასკნელი უკვე გაემგზავრა ცნობების შესაკრებათ. ვექილთა ბიუროს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მოიწვიოს პეტროგრადიდან გამოჩენილი და გამოცდილი ვექილები, თუ ეს, რასაკვირველია, საქმემ მოითხოვა.

✦ ქ. შ. წ. კ. მთავარი გამგეობა ქუთ. განყოფილებას ატყობინებს, რომ მომავალი სექტემბრიდან საზოგადოების ყველა სკოლაში საგნების სწავლება ქართულ ენაზე იქნება, თანახმათ 1914 წლ. 1 ივლისის კანონისა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, სახალხო სკოლების უფროსს მაწსავლებლებს აცნობებს, რომ მეცადინობა სკოლებში დაიწყონ ათ აგვისტოდან.

✦ ქუთ. საოლქო სასამართლოს წევრი ბ-ნი პლეტნიკოვი დაინიშნა თბილისის სამოსამართლო პალატის წევრათ.

✦ ქ. შ. წ. კ. ს. ქუთაისის განყ. გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარის მოხანაგათ აირჩია ი. ოცხელი, მდივნათ ი. ბაქრაძე და ხაზინადრათ ბ-ნი ჩხატარეიშვილი. არჩეულ იქნა აგრეთვე დროებითი საბუღგალტერო კომისია, რომელმაც უნდა მოაგვაროს სხვადასხვა საქმე. სტამბის მეთვალყურე სექციაში აირჩიეს: ი. ოცხელი, ბ. მოსეშვილი და ს. რობაქიძე. სამკითხველოს მეთვალყურე სექციაში: გრ. გიორგაძე, ს. ყიფიანი და ბ. მოსეშვილი, სეირნობის მომწყობ და ფულის შემკრეფ სექციაში: ქ-ნი: მ გველესიანისა, მ. ვარდოსანიძის ასული, რ. კანდელაკი, ს. ჩხატარაიშვილი, საგამომცემლო სექციაში: ს. რობაქიძე, გ. გორდაძე, და ი. ფანცხავა. კრებები დანიშნეს პარასკეობით.

✦ 21 ივლისიდან 1 აგვისტომდის ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით სახალხო მასწავლებლებისათვის მოეწყობა მოკლე ვადიანი კონსერვების კურსები ხილეულობის გასახმობათ. კურსებზე შეუძლიათ დასწრება კერძო პირებსაც. კურსებზე ჩაწერა შეიძლება 22 ივლისამდე, სახალხო სასწავლებლების დირექტორთან თბილისის ქუჩეზე მ. ანანოვის სახლში.

ზეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ

რა არის სახალხო მასწავლებლების მოვალეობა.

(შემდეგი იხ. სამშ. 130-ე №)

ჩვენს პირდაპირ მთავრობას მე არ შევეხები, რადგანაც მისი მოქმედება გაზ. „სამშობლოს“ № 93 1915 წლ. ნათელ ვჰყავ რამოდენიმედ . . . . . .

. მე ველაპარაკობ: ყოველი ჯურის მთავრობა, ყოველი ჩინოვნიკი, ყოველი მოხელე, ყოველი ჩასუქებული სოფელი ჩვენს უფროსადა გრძნობს თავს და ყველა ცდილობს საქმითაც დაამტკიცოს ეს. აქ ციფრების მოყვანა რომ შეგვძლებოდა, ნათლად დავინახავდით, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ, არსებული პირობების გამო, იძულებული ვარ ცოტა სხვა რიგად ვილაპარაკო.

ეხლა შევიხედოთ სასწავლებელში და ვნახოთ, რა მდგომარეობაშია შენობებისა და მათი გათბობა—განათების საქმე.

ზევით მოვიხსენიეთ, რომ რაც ბატონყმობა მოისპო, იწყეს სახალხო სკოლების გამრავლება მეთქი. მხრთლაც, ისე გაიზარდა მოთხოვნილება, რომ თითოეული სოფელი თუ არა, საზოგადოება მაინც ღირსი ხდება იქონიოს ერთი კულტურული დაწესებულება. გადის დრო და სასწავლებლის შენობა ძველდება, ჭერი და იატაკი ფუჭდება, სახურავი ზიანდება, კედლები იქით-აქეთ იხრებიან, კირი და მიწა სცვივა, მაგრამ პატრონი მაინც არა სჩანს; ვით ტრიალს მინდორში, ქარსა და წვიმას ზუზუნ-შხუილი გაქვს სკოლის შენობებში; მასწავლებელი ძველ პალტოში გამოხვეული, ცივცხლს აჰფიცხებია, ბავშვებს მეტის-მეტი სიცივისა და სისოვლისაგან, თითქოს კრიჭა შეუკრავთო, ენის ამოღებაც არ შეუძლიათ. ამ დროს მოდის ინსპექტორი, ან სხვა ვინმე ადმინისტრატორი და დიდის ვაი-ვაგლახით აყენებენ განაჩენს სკოლის შეკეთების შესახებ. მასწავლებლის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ფიქრობს—ეგებ ერთხელ მანიც მეღირსოს თბილ ოთახში ყოფნა, მაგრამ მისი სიხარული ხშირად უდღეო გამოდგება ხოლმე, რადგანაც მასწავლებლისთვის ზრუნვაზე მაგრე რიგათ თავს არავინ იტკივებს. წავა უფროსი და ახლა მამასახლისის ხელშია სკოლის სვე-ბედი. როცა იქნება, ან მამასახლისი, ან ძმა, ან სხვით, ან სხვა ნათესავი აიღებენ შენობას გასაკეთებლად და, თუ იშოვნეს პურის ფქვილი, კედლებს შეჰფეთქვენ, სახურავს ორიოდ ყავარს გამოუცვლიან და ასე ამ რიგათ დამთავრდება სკოლის გადახალისება. ორს ან სამს თვეს ამ წესით გაკეთებული შენობა ივარგებს და შემდეგ, თუ ფრთხილად არ იქნენ შიდ მყოფნი დღე დაადგებათ, რადგანაც უგულოდ გაკეთებული ჭერი და სახურავი ადვილად მოადენენ ბრაგვანს ძირს და არც ჩვენს მასწავლებელს დააყენებს კაი დღეს მისი მოწაფეებითურთ.

თუ ცუდი გაკეთებული იყო, რატომ ვერ დაინახა მასწავლებელმა და, თუ დაინახა, რად მოაწერა ხელი ოქმზე შენობის მიღების შესახებ. არ მიიღებდა, მაშ რას იზამდა? არ მიიღებდა და თქმულება „ძალა აღმართსა ხნავს“-ო ხომ იმ საკოდავზე ასრულდებოდა და ადვილად შეიძლება, ურჩს მასწავლებელს სკოლის გარეშე ამოეყო თავი, ვინაიდან შენობის აგების საქმეში ბევრი მხარის დამჭერი უჩდება ჩვენს კურთხეულს მოხელეებს.

დიახ, საბრალო მასწავლებელს ხშირათ ძალით აკეთებიებენ იმას, რაც თვითონ არ უნდა, მაგრამ რას იზამს! ჩვენს დროში უმეჯაფერი ძალას ემორჩილება და ჩვენც „თავს ზევით ღონე არ გვაქვს“.

დროებით შეკეთებული შენობა სულ მალე ფუჭდება და თავის-თავად იბადება კითხვა ახალი სკოლის აგების შესახებ. ვინ მოსთვლის, რამდენი შრომა, მუდარა, თხოვნა და თავის დამცირებაა საჭირო ყრილობის მოწვევისა და ბოქაულის მოყვანისთვის, როცა საქმე სკოლას ეხება! ამასობაში გადის დრო, სასწავლებელი ნახევრად ინგრევა, წვიმის დროს სწავლა სწყდება, ილაჯ-გაწყვეტილი მასწავლებელი სასოწარკვეთილებას ეძლევა და ამ დროს, თუ პატარა წესიერი კაცია, მოდის ბოქაული და დიდის გაჭირვებით ითანხმებს ხალხს ახალი შენობის აგებაზე.

დადგა განაჩენი, აირჩიეს ადგილი, გაიხადეს საჭირო ფული და ელიან შენობის დაწყებას, რასაკვირველია, ინიშნება საჯარო ვაჭრობა და ვინც იაფად აიღებს, იმას დარჩება, მაგრამ მაზრის უფროსი, რომელიც საამშენებელო კომისიის თავჯდომარედ ითვლება, ხშირად ორი-სამი წლის განმავლობაში ვერ შოულობს თავისუფალ დროს მოსასვლელად და ამიტომ ძალიან გვიანდება შენობის დაწყება. რას აკეთებენ საამშენებლო კომისიის წევრები? ისინი გულზე ხელ-დაკრებილი ზიან და ყურადღებასაც არ აქცევენ სკოლას. მასწავლებელი ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე დააჩქაროს სკოლის აგება, მაგრამ მარტო რას იზამს? ჩვეულებრივად გადის დრო, გადის ჟამი, ხალხი მასწავლებელს საყვედურით ავსებს—თუ გაკეთება არ შეგეძლო, ფული რად გადაგვახდევიეო.

საბრალო მასწავლებელი! ყველას ის ჰგონია დამნაშავე! ყველას ისა ჰყავს ნიშანში ამოღებული! თუ გაკეთდა რამე, ეს სხვისი საქმეა, თუ არა—დამნაშავე ის არის! მასაც ევსება მოთმინების ფიალა, არ ზოგავს კალამს და ქაღალდს, სადაც ხმა მიუწვდება ელვასავით ჰქუხსა და სჭექს (თუ ეს ასე არ არის, მას მაინც ასე ჰგონია) და ბოლოსაც იქნება, მიალწევს სასურველ მიზანს.

მოდის მაზრის უფროსი და ვინმე ჩასუქებულ გვამს აძლევს შენობას ასაშენებლად. მასწავლებელი მხიარულებას ეძლევა, მაგრამ შენობის აგება წლობით გრძელდება და სიხარულსაც ფრთა ეკვეცება.

ბოლოს კეთდება სასწავლებელი, მაგრამ პარტებია საჭირო და აქ შრომა ორკეცდება. რამდენი ენერგია უნდა დაიხარჯოს ორიოდ სკამის გაკეთებაში! როცა იქნება ახალი პარტები დაამშვენებენ, უკვე სახურავ შელანძღულს, სკოლის შენობას და ამნაირად ძვირად, სულ ძვირად შეიძლება, გამოინახოს იმისთანა სასწავლებელი, რომელსაც მოეპოებოდეს სამაცადინოთ მოწყობილი ოთახები.

რომ სრულიად დავასურათოთ სკოლის შენობათა გარშემო ატეხილი დავიდარაბა, მე მოვიყვან ერთს საყურადღებო მაგალითს ზემო-იმერეთის ცხოვრებიდან.

ზემო-იმერეთში არის ერთი საზოგადოება, რომელსაც ქორეთის საზოგადოებას ეძახიან. იგი შესდგება 1292 მეკვამური გლეხისაგან და აქვს მხოლოდ ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება—ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც ამ რამოდენსამე წლის წინად სიკვდილის კარამდე იყო მისული. ხალხის შეგნებულმა ნაწილმა ჩააგონა გლეხებს სკოლის გადაკეთების მიუცილებლობა და, მართლაც, 1911 წლის 14 აგვისტოს დაადგინეს განაჩენი არსებული სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ; იმავე წელში თითოეულ გლეხს, რომელიც ცხოვრობდა ს. ქორეთში, ითხვისში, კალუათასა და ბეინევში, რადგანაც ამათ ახლოს ფიქრობდენ სასწავლებლის აშენებას, სხვაზე ზედ-მეტი გადაახდევიეს სამ-სამი შაური, ისე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპოდენციაში „ჭალასთავი და ნაგარევი“ შეცდომით არის გაშვებული ი. ჭავჭავაძის სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო“ **უნდა იყოს:** „ჩვენი თავი, ჩვენ უნდა გვეყურდნესო“.

———

„სამშობლო“-ს № 128-ში „შეწირულება“-ში შეცდომით არის მოხსენებული ვარლამ ფალავა, უნდა იყოს **ვარლამ ჩიჩუა.**

ქართველი ისრაელეგის ცხოვრეგიდან.

II.

(დასასრული იხ. „სამ. № 130).

ვსთქვი და გავიმეორებ: ქალაქი უკარნახებს სოფელს სამოქმედო გეგმას; იქ, სადაც და რომელ ქალაქშიც ხალხი კულტურულად ამაღლებულია, იმ ხალხს შეუძლია უკარნახოს სოფელს კულტურულათ სამოქმედო გეგმა. მაგრამ თუ ხალხი კულტურულად სუსტი და დაქვეითებულია, განა იმ ხალხს შეუძლია სოფლის ხალხს უკარნახოს სამოქმედო გეგმა. ქალაქში კი არა და გინდ ზეცაშიდაც იყოს? აი, სწორეთ ამიტომ არის, რომ უსაყვედურებს „პალესტინელი“ ქუთაისის ებრაელებს, მათ სულიერ მამებს და მათ ინტელიგენციასაც კი, რომ სოფლის ხალხი მათი კვალის მიმდევარია და ისინი კი ამაზე არას ფიქრობენ, თვითონაც იღუპებიან უკულტურობით და მათი კვალ და კვალ მიმდევარი სოფლის ხალხიც, მათთანვე იღუპება. განა „პალესტინელი“ მარტო იმას ჩივის, რომ ბააზოვის წერილი და მოწოდება უყურადღებოთ დარჩა? არა! ბააზოვის მოწოდება მხოლოდ ერთგვარი საძირკველია, სადაც პალესტინელს საშუალება ეძლევა, დააშენოს ყველა ის მასალა, რაც მან გამოამზეურა ქართველი ისრაელების ცხოვრებიდან.

მე, როგორც უსწავლელს ყოველთვის იმისი შიში მიპყრობს, ვაი თუ რამე შევცდი და ვერ ვსთქვი ის, რისი თქმაც შეიძლება. მაგრამ მამხნევებს ის, რომ „შეცდება ის, ვინც რასმეს აკეთებს“.

ამ ნაირათ ბააზოვის მოწოდების შედეგი დამოკიდებულია ქუთაითურ ისრაელების გამოხმაურებაზე, ეს იქნება ტონის მიმცემი სოფელ-დაბათ მცხოვრებ ებრაელთათვის. ყველა ჩვენ სოფლათ მცხოვრებნი შევყურებთ მათ—აბა რას იტყვიან ქალაქის მცხოვრები ყმაწვილები. მათი ხმის ამოღება იქნება ჩემთვის მზის ამოსვლა, როდესაც მე შემეძლება მზის სინათლეზე უფრო გავინავარდო. ჯერ მხოლოდ პირველი აღვნიშნე და მომავალში ვეცდები ყველას აღნიშვნას, თუ ქალაქის მცხოვრებლები არ შემეჯიბრენ...

დასასრულ ვიტყვი მოკლეთ: ქუთაისის ისრაელები რომ გამოერკვეოდენ, და რომ გამოიღვიძებდენ, როგორც მართლა ქალაქის ხალხს შეფერის და ერთ გარკვეულ გეგმას შეიმუშავებდენ, ამ გეგმას კვალ და კვალ გაყვებიან სოფლელებიც.

ისრაელების კულტურულად აღორძინებისთვის სრული დარწმუნებული ვარ კიდევ არ იქნება გვიანი, სიკვდილის პირად მისული ქართველი ისრაელების გამობრუნება, მაგრამ ამაზე შემდეგ.

მხოლოდ ახლა ვიტყვი იმას, რომ თურმე ჩვენი სულიერი მამები ძალიან გაუწიწმატებია პალესტინელის წერილს, და ვინ იცის რას არ ედებიან; ზოგი მათგანი ჩაქოლვა-შეჩვენებითაც კი იმუქრება თურმე.

მე რომ დამიჯერებდენ ვეტყოდი მათ: ბატონებო! თუ პალესტინელი რამეში სცდება თქვენთან, თუ თქვენ მის მიერ წამოყენებული ბრალდების გასაქარწყლებელი საბუთი გაქვთ, უკეთესია იმ გზით გასცეთ პასუხი რა გზითაც თვითონ ავტორი გეძახისთ. ვისაც სიმართლე გაქვთ, სწორი გზა ეს არის. თუ არა და ღობე-ჯორეს მოდება ვერ შველის სიმართლის აღდგენას. მართალს გეტყვით თქვენგნივ ხმის ამოღება საჭიროა, რადგანაც, როგორც თალმუდი ამბობს: „სიჩუმე დასტურის ნიშანია“-ო. ისე თქვენის სიჩუმით ამიერიდან დაადასტურებთ იმას, რასაც ავტორი გისაყვედურებსთ!

ნორა.

წყალდიდობის მსხვერპლი სოფელ ზუბში.

(ლეჩხუმის მაზრა).

25 ივნისს წყალდიდობამ ლეჩხუმის მაზრაში ყველა სოფელზე უფრო სოფ. ზუბი დააზარალა. ადამიანთა მსხვერპლი 24 სულამდია. ოცდა ცხრა გლეხს, რაც რამ გააჩნდათ, სრულებით წაართვა აზვირთულმა წყალმა: აი დაზარალებულთა სია:

აფიონ და ამბროსი კუხალაშვილები ნახეს დილას ჩამფალი მიწაში კისრამდი ცოცხალ-მკვდარი, ერთი ბავშიც მკვდარი. სამსონ კუხალაშვილის ცოლშვილი და მისი ყოველივე ქონება შთანთქა წყალმა; გაიტაცა აფიონის ცოლშვილი და ყოველივე ქონება; ოქროპირ მამარდაშვილის ძმის შვილი და რძალი და ყოველივე ქონება; დათიკო ჩაკვეტაძის ცოლშვილი და ყოველივე ქონება; ნიკო ჩაკვეტაძის მთელი ქონება; გიგო ჩაკვეტაძის ქონება; ალექსი გაგილაძის ქონება; დიმიტრი ჩაკვეტაძის ქონება, ლუკა ჩაკვეტაძის ქონება, გერასიმე ჩაკვეტაძის ერთი შვილი და ყოველივე ქონება. ანდრია ჩაკვეტაძის ცოლშვილი და ყოველივე ქონება. მხოლოდ დარჩა ერთი შვილი და ძმა; ესტატე ჩაკვეტაძის ყოველივე ქონება; ეპიფანე ჩაკვეტაძის ქონება გელია ჩაკვეტაძის ზარალი დიდია; ივანე ჩაკვეტაძის ზარალი დიდია. კოსტა ჩაკვეტაძის, ცოლი და ყოველივე ქონება, თვითონ გადარჩა. ბიკტორ ჩაკვეტაძის, ერთი შვილი და ყოველივე ქონება. ევგენი ჩაკვეტაძის ერთი ძმის შვილი და ქონება; ანდრია ჩაკვეტაძის ქონება, საბა ჩაკვეტაძის ქონებ, საჩინო ჩაკვეტაძეს ზარალი დიდია; დათიკო ჩაკვეტაძიჩ, ქონება. აგრეთვე დიდი დახმარება აღმოუჩინა ხონის პრისტავმა ბ. კუხალაშვილმა, რომელმაც თავისი საზოგადოების დახმარებით, თითქმის ყველა დამხჩვალი მონახა და მიწას მიაბარა.

გარდა ორი სოფლისა, ხიდები და ბორანები ყველგან წაღებულია.

მოსე ტაბაძე.

დაბა-სოფლები

(დასასრული იხ. 129-ე №

სოფ. ჭალასთავი და ნაგარევი. როგორც ზევითაც ვსთქვით, ჭალასთავის უახლოესი სოფელი-ნაგარავეია. მე აქ არშევეხები ამ სოფლის საზოგადო ყოფა ცხოვრებას. მე მინდა მხოლოდ ცოტახნით შევაჩერო მკითხველის ყურადღება იმ საძაგელსა და სოფლის პირდაპირ დამღუპველ ჩვეულებაზე, რომელიც ასე ძლიერათ დასჩემდა ამ ბოლო დროს ამ სოფლის ერთ ნაწილს. მე ბანქოს თამაშსზე მოგახსენებთ. ეს სენი, როგორც ვთქვი, ს. ჭალასთავსაც სჭირდა, მაგრამ იქ მას ისევ სოფელმა გაუწია ანგარიში და ბანქოს მოთამაშეთა რიცხვი დღეს აქ 3—4 ახალგაზდაზე დამდგარა და ისინიც ნაგარევში თუ გაბედვენ ბანქოს თამაშს, თორემ ჭალასთავის საზღვრეის შიგნითვერა ნაგარევის ამ ერთ უბანში პირდაპირ დაწესებულებათ გამხდარა ეს სამარცხვინო ჩვეულება. იგი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი აქაურ ახალ-გაზდობას, ზოგიერთის გამოკლებით. ყოველ პარასკეობით (ამ-დღეს აქით მიწას არ მუშაობენ) და კვირა-უქმეობით არის ერთი აურ-ზაური, ერთი უშველებელი; ერთი ან ორი იგებს, ათი და ოცი აგებს და ასე აღამებენ დღეებს. გაივლი ქუჩაში და განცვიფრებაში მოყავხარ იქით-აქეთ ჩამჯდარ-ჩასაფრებულ ჯგუფს; ისმის უწმაწური ლანძღვა-გინება. მწყესები და ოჯახის პაწა ბავშვები თავს დასცქერიან მათ და ასე ირყვნება სოფლის მომავალი თაობაც.

ამას წინათ ამ კუთხეში ჩამოვიარე. ალამო ხანი იყო. ის ისიყო საშინელმა წვიმა ვადაიღო და გზებში დიდი ლენჭყო იდგა. მე დიდი ჭაპანწყვეტით მივაბიჯებდი. უცებ ჩემს წინ შემდეგი სურათი გადაიშალა: კარგი მოზრდილი ჯგუფი 20—25 ახალ გაზდასაგან შემდგარი ორათ გაყოფილა, ჩამუხლისთავებულან ამ ტალახში, ერთი სოველი ფართო ლიპის გარშემო და შლიან „თავშავსა“ და „ცხრიანს“, ზოგი შორე სოფლიდანაც კი მობრძანებულა. მაგალ. სოფ. ნავენახევიდან, რომელიც 4 ვერსითაა დაშორებული, ერთი-ორი ჭალასთაველიც ერია.

ერთს, წისქვილში მიმავალ მესაქფავეს გაევლო და იგიც თავის ტომრიანა იქ „ჩამომხტარიყო“. ალბათ ფული რომ შემოელეოდა სიმინდს ჩამოართმევდენ. მე ხესავით გავშეშდი ამ, ჩვენი სოფლის დაკნინებისა და გათახსირების მწარე სურათის წინაშე და მერე ისე უხმოთ, უენოთ აღელვებულმა მოჩქარებული ნაბიჯით გავსწიე შინისაკენ.

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, და ხანდახან ოცი და ოცდა ათობით აგებენ. დიახ ოცდა ათ მანეთობით. მერე ხომ მოგეხსენებათ რას ნიშნავს მანეთები სოფლელი კაცის ცხოვრებაში. ისიც როგორი სოფლის? რომლის მცხოვრებთა უმრავლესობასაც დღეს ბელელში სიმინდის ტარო არა აქვს და ქვევრში კიდევ ღვინო. ამაზე იქით კიდევ წავა სოფლის დაცემა? მისი შეუგნებლობა?

ბანქოს თამაშს, როგორც მოსალოდნელი იყო მოყვა ქურდ-ბაცაცობის გახშირებაც. ზოგს ხალამში ყველსა პარავენ, ზოგს კიდევ საქათმეში ქათმებსა. ჩამოაქვთ ქუთაისის ბაზარზე გასაყიდლათ და ნაშოვნი ფულებით კიდევ ერთმანეთს „ართობენ „ცხრიან-თავშავის“ თამაშით ამას წინათ ერთს აქაურ გლეხს, სახელდობრ ივანე ხუციშვილს ღამით ქვევრში 7—8 ჩაფი ღვინო მოპარეს.

პატრონმა პირდაპირ მებანქოებს დაადვა ხელი. და, მართლაც, ერთ მათგანს აღმოუჩნდა ამის დამამტკიცებელი უტყუარი საბუთები. ეს მართველობამაც იცის და, აბა, ვნახოთ რით დააბოლოებენ საქმეს.

ამ გვარათ ეცემა სოფელი ეკონომიურათაც და ზნეობრივათაც. ასე ირყვნება და იღუპება მთელი სოფლის მომავალი თაობაც.

ამ ბოლო დროს ამ საშინელი სენის გადასაგდებლათ ადგილობრივმა მამასახლისმაც შესაფერი სიფხიზლე გამოიჩინა. აღარ ერიდება არავითარ სიმკაცრეს ბანქოს მოთამაშეთა წინააღმდეგ. ბევრგვარ საშვალებას მიმართა მათ ასალაგმავათ, მაგრამ რა მერე?..

ანკი რა ქნას მარტო მამასახლისმა, როცა თვით სოფელი, თვით ხალხი არ ცდილობს ყოველივე ღონე იხმაროს ამ საშვილიშვილო უბედურების თავიდან ასაცილებლათ.

საჭიროა თვით ხალხმა ამოიღოს ხმა და თავისი მომავალი თაობა აგდაარჩინოს ამგვარ სამარცხვინო საქციელს, ვიღრე ჯერ კიდევ ეს გვიან ან არის.

აბა რადროს ასეთებია, როცა დაღონებული ჩვენი სამშობლო ესოდენ ჯანსაღ ახალგაზდობას სწირავს ბრძოლის ღმერთს; როცა სიმშილით ლამის სული ამოძვრეს ჩვენი საერთო სხეულის მთელ ერთ ნაწილს—გურია და სამეგრელოს, როცა შეუბრალებელი ხვედრისაგან საცოდავათ გაპარტახებული აჭარა სისხლის ცრემლებით მოითხოვს შველას მოძმე ქართველობისაგან. განა ჭკუათა მყოფელი ადამიანი ბანქოში გაფლანგავს ფულებს?!

როცა აღშფოთებული სტიქიონიც აღარ იბრალებს ჩვენ ხალხს და უზარმაზარი მთებიდან დაშვებული, ფაფარ აყრილი და აქაფებული მობღავის, თითქო ლამობსო, ბარემ წალეკოს პირისაგან მიწისა ღვთის მშობლის ხვედრი საქრისტიანო; როცა ნიაღვრებისაგან აყრილი,—აწიოკებული ფარღალალა ცის ქვეშ დარჩენილი ოჯახები ხელ-გამოწვდილი ჩვენსკენ იცქირებიან, ჩვენ მოძმეს ჭირი ჭირათ არ გვიჩნს, და ბანქოს თამაშით გატაცებული გულ-გრილათ ვუყურებთ.

დასასრულ არ შემიძლია კიდევ ერთი ირონიით დასძენს: „იმისთანა რაპორტი დაგიწერია, ქვასაც კი გაარღსევსო“. მასწავლებელი თავის გაჭივრებას მოუთხრობს, მწერალიც ჰირდება დახმარებას.

მწერლის დახმარება!..

წარმოიდგინეთ სოფლის მწერალი და მისი დახმარება!

როდემდის იტრიალებს უკუღმა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების ჩარხი? აქ მოვიშველიებ შექსპირს „О, ты это разрѣшишь, время! А для меня оно невыносимое бремя“.

ასრულდა მწერლის დაპირება, სკოლის ეზოში ორიოდ ურემი შეშა მოიტანეს. ორი ურემი შეშა, სკოლა და ჩვენებური ზამთარი! როდემდის უნდა გეყოს, საბრალო მასწავლებელო, ორი ურემი შეშა? ცხადია, სამიოდე დღე და მერე ისევ ჩვეულებრივად უნდა იარო შენს აურაცხელ უფროსებთან. შეიძლება, ბოლოსაც იქნება, გათამამებულს მამასახლისს ციხეში ამოაყოფინო თავი, მაგრამ მაშინ სოფელი დაგემდურება,-არჩეული კაცი გაგვილანძღაო და ასე ულმერთოდ გტანჯავენ. შეშაზე რაც გადახდა გეყოფა, ეხლა ნავთი არ გინდა? კი გინდა, მაგრამ შეშის შოვნაზე რაც მოგივიდა, ორი იმდენს იწვალებ ნავთის მოპოებისთვის. რა გაეწყობა, სამ საათამდე სკოლაში ხარ, ერთი საათი სადილსა და დასვენებას მოუნდები და ოთხიდან ექვს საათამდე რანაირად გაასწორებ 150 რვეულს? დიახ, ვერ გაასწორებ, ვერც წიგნს წაიკითხავ და მიტომაც არის, ჩამორჩენილი და ყველას ხელ წამოსაკრავი რომ ხარ; მაგრამ დადგება დრო და შენც გეშველება რამე.

ნარქანი.

(შემდეგი იქნება.)

ღია წერილი

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგეს ბ-ნ იოსებ ივანეს-ძე ოცხელს.

ბატონო იოსებ!

შვიდი ივლისიდან დღევანდლამდე ქართლის ისეთ სოფელში გახლდი, სადაც ჟურნალ-გაზეთობა ორ კვირაში ერთხელ თუ მოაღწევს ხოლმე და ამიტომ თავისს დროზე არ წამიკითხავს თქვენი წერილი, რომლითაც თავს იმართლებთ საზოგადოების წინაშე და ჩემი თქვენის შურისძიებისა გამო დათხოვნის მიზეზათ სულ სხვა „გარემოებასა“ და ჩემს სიაუგეს ასახელებთ.

თქვენ მე არ მაკმარეთ საზოგადოების წინაშე სილის გარტყმა, როცა თქვენის სკუთარის უფლებით ნაფოტივით გადმომისროლეთ სასწავლებლიდან და მომისპეთ საშუალება მუშაობისა. ახლა გამომდგარხართ და ჩემ პირად ღირსებას, ჩემ შრომის მოყვარეობასა და თვით იმ იდეას, რომელსაც შევწირე მთელი ჩემი პირადი ბედნიერება—ტალახში სვრით და მთელი ქვეყნის წინაშე მცონარათა და მატყუვრათ გამოგყევართ.

პირველი თქვენ მიერ სილის გარტყმა დროებით ავიტანე, ავიტანე იმიტომ, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ჰყავს თქვენზე უფრო დიდი და გულშემატკივარი პატრონი—სამოსწავლო და მზრუნველი კომიტეტი, რომელსაც მოვახსენე თქვენი უზურ პატორობა და რომელიც, იმედი მაქვს, უკანვე დაგიბრუნებთ იმ სილას, რომელსაც ასე ადვილათ ულაწუნებდით ღირსეულ და გამოცდილ მასწავლებლებს. (ტრ. ჯაფარიძე, თომა მთავ-

რიშვილი, სვ. ეზიკაშვილი). დიახ, მე მივმართე ჩვენი გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტს და შვიდი-რვა დღით გავშორდი ქუთაისს, რომლის ქუჩებზედაც ასე მედიდურათ დასეირნობთ ხოლმე და გულით კი ათასი სიცრუე და ვერაგობა გიტარებიათ!..

მსურდა, კომიტეტის სამართლიან გადაწყვეტილების მოლოდინში, გიჟ-მაჟი ლიახვისათვის მიმენდო ის მწარე ფიქრები, ის გულისტკივილი, ის უდიერება და უსამართლობა, რომელნიც მე თქვენ ხელში აღმეძრა და რომელნიც მე გამოვცადე თქვენისავე წყალობით.

თქვენ კი ამ დროის განმავლობაში გიძებნიათ გზები საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლათ და რადგანაც ყველა დარწმუნებულია, რომ თქვენ მე დამითხოვეთ იმიტომ კი არა, რომ ცუდი მასწავლებელი ვიყო ქართული ენისა და მოქალაქეობისა, არამედ დამითხოვეთ იმიტომ, რომ მე ვამხილე თქვენი მადზაიის ჩარჩობა და სულმდაბლათ შური იძიეთ „როგორც უპატრონო ეკლესიის“ პატრონმა, რაც, რასაკვირველია, ჩირქსა გცხებთ თქვენ, როგორც სასწავლებლის გამგეს,—ახლა ჩემი დათხოვნის მიზეზი გადაგიტანიათ სასწავლო ნიადაგზე და ისეთი გუდა ტყუილებისა და თვალთმაქცობისა დაგიბერტყნიათ მკითხველთა თვალის ასახვევათ, რომ მე არ შემიძლია გავჩუმდე და არ გავფანტო ის კორიანტელი, რომელიც ჩემ პიროვნებასა და ჩემ პირადობას დაუმსახურებლათ ამცირებს.

მე რომ თქვენსავით ვაჭარი ვიყო, თქვენოდენა ქონებრივი შეძლება მქონდეს, თქვენოდენა ყალთაბანდობა და თვალთმაქცობა შემეძლოს, პასუხის ღირსადაც არ ჩავთვლიდი თქვენს თავის მართლებას, მაგრამ მე ცარიელი მარჯვენისა და შრომის მეტი არა მაბადია რა და ამის შეგინებას კი ვერავის ვერ დავუთმობ!..

მაშ, გავყვეთ თქვენ ლათაიებს კვალ და კვალ და დავამტკიცოთ, რომ თქვენ მხოლოთ თვალთმაქცობთ და სხვა არაფერი!..

თქვენ ბრძანებთ:

„ინსპექციის გამოანგარიშებით სამი კლასი დაიხურება და ამის გამო მასწავლებელთა რიცხვი შემცირდება.

ხოდო პარალელების დახურვის გამო გაკვეთილების თაყის დანებება იმ მასწავლებელს მოედის, ვინც ამ პარალელების გახსნის გამო იყვნენ მიწვეულნი, მეტადრე იმათ, ვისაც ეფვი უდგიათ მთავრობის გიმნაზიაში და იქიდან დაიარებიან გაკვეთილებზე ქართულ გიმნაზიაში.

მთავრობის გიმნაზიიდან ამ გვარ მოსიარულე მასწავლებლებს ქართული გიმნაზია თავის მკვიდრ მასწავლებლად არა სთვლის: მათ იწვევს ინსპექტია თავის უფლებითა და თავის პასუხისგებით საჭიროების მიხედვით და თავისივე უფლებით ათავისუფლებს. მხოლოდ შემდეგ მოახსენებს კომიტეტს.

ამ გვარ მასწავლებლებს ეკუთვნოდა ბ. ცინცაძე, რომელიც ქუთ. წმ. ნინოს სახელობაზე არსებულს მთავრობის სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელია და რომელიც ქართული გიმნაზიის ინსპექციამ ამ ბოლო წლებში მიიწვია პარალელების გახსნის გამო.

ამ ამონაწერში რამდენიც მუხლია, იმდენი სიყალბე თუ არა, საეკვო ცნობა მაინც არის.

პირველი—დაიხურება, თუ არ დაიხურება „სამი კლასი“, ეს მომავლის საქმეა და მე რომ თქვენი ოკრო ბოკრობა ვიცი, ეს მომავალი ახლო მომავალი არ გახლავთ.

ნეტა რომელ კლასებს უპირობთ დახურვას, საინტერესოა საზოგადოებას აცნობოთ, ვინაიდან პირველი მოსამზადებლისა, პირველისა, მეორისა და მესამე კლასების განყოფილებების დახურვას არაა სოდეს არ მოჰყვებოდა ჩემი დათხოვნა, ვინაიდან მე ვასწავლიდი მეოთხესა და მეხუთე კლასებში, რომელთა დახურვაც შეუძლებელია ყოველის მხრივ.

ვსთქვათ, შეუძლებელიც მოხდა, მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ იმ სამი ჩვენთვის და საზოგადოების უცნობი კლასის დახურვამდე თქვენ გარდაიცვალოთ (ჯვარი კი გწერიათ) და გიმნაზიის ახალ გამგეს სხვა მასწავლებლებს მე ვემჯობინებინე. თქვენ ადგილს უეჭველათ ხომ ისეთი კაცი არ დაიჭერს, რომელსაც ქუთაისში წიგნისა და ქაღალდის მაღაზიები ექნება და მე როგორც მასწავლებელს კი არა, როგორც რედაქტორს უთანხმოება მომივა! ეს ერთი.

მეორეც. განა მარტო მე მაქვს გაკვეთილები მეორე სასწავლებელში? ვინ ასწავლის ქართულ ენას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში? განა ისიც ჩვენი მასწავლებელი არ არის?

რატომ ის არ დაითხოვეთ და რაღა ჩემზე გადატეხეთ ჯოხი!

არა, ბატონო, აქ არაფერს შუაშია „ისინი, ვისაც ფეხი უდგიათ მთავრობის გიმნაზიაში“. ასეთი „ფეხი არი ერთსა და ორ ჩვენ მასწავლებელს „უდგია“, მაგრამ თქვენ ყველა ეს იმიტომ სთქვით, რომ თქვენი ქვენა გრძნობები დაგეფარათ.

3). ბატონო ი. ოცხელო, კაცს მართლა ოცი ხელი უნდა ჰქონდეს, რომ ერთბაშათ მოხსნას თქვენისთანა ადამიანს ნიღაბი! წარმოიდგინეთ, რომ ჩემთვის პირველი გაგონებაა, რომ თქვენ მე „თავისს მკვიდრ მასწავლებლათ“ არა მთვლიდით.

თქვენ მე მიმიწვიეთ 1913 სამოსწავლო წელს მაშინ სწავლა უკვე დაწყებული იყო და იმ წლის მაისამდე მართლაც ვითვლებოდი მოწვეულ „შტატ გარეშე“ მასწავლებლად. 1914 წლის აგვისტოში კი თქვენ მე გამომიცხადეთ: „ახლა კი შტატში ჩაგრიცხეთ და მომილოცნიაო“.

მე რა უფლება მქონდა არ დამეჯერებინა თქვენთვის, მით, უმეტეს, რომ როცა მასწავლებელთ სიები გავშინჯე მე „შტატიანებში“ ვეწერე, მაგრამ ჯამაგირი მეცოტავა და თქვენი შეწუხება რომ აღარ მინდოდა, განმარტებისათვის მივმართე კომიტეტის მდივანს.

იმან რაღაცები მიკიბ-მოკიბა. ბოლოს თქვენც გაიგეთ ჩემი უკმაყოფილება და აი როგორ განმიმარტეთ:

მართალია თქვენ უმაღლესი სწავლა გაქვთ მიღებული, მაგრამ ვიღამაც დაარწმუნა კომიტეტი, რომ რაღაც ახალი კანონის ძალით, ვისაც უმაღლესს სასწავლებელში არ უსწავლია ქართული ენა, იმას უმაღლესი ჯილდოც არ ეკუთვნისთ... კომიტეტი შეცდომაში შეიყვანეს. განცხადება შემოიტანე და ყველაფერი გამოსწორდებაო...

გუნებაში გამეცინა ასეთ სისულელეზე, მაგრამ განცხადება მაინც შემოვიტანე, რომელი განცხადებაც დღესაც გარბის და კომიტეტს არ მოხსენებია... მოტყუებაც ასეთი უნდა!

ამ ხანებში მსოფლიო ომი გამწვავდა, ყველას ნორმალური ცხოვრება აირია, აირია სასწავლებლის ცხოვრებაც. ყველა გაქცევაზე იდგა და მე რომ ჩემ ჯამაგირზე ლაპარაკი დამეწყო და საჯაროთ მომეთხოვა პასუხი, ჩემის აზრით არ იქნებოდა ლამაზი და ვსდუმდი ბოლო დრომდე...

რა შედეგი მოჰყვა ამ დუმილს, ან როგორ გამოაშკარავდა თქვენი ზნეობრივი სახე, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ, ახლა კი მინდა გავყვე თქვენ „ბრალდებას“.

„მასწავლებლობის გარდა ბ. ცინცაძე ასრულებდა გაზეთის რედაქტორობის თანამდებობას.

ეს გარემოება და შეიძლება სხვაც ხელს უშლიდა ბ. ცინცაძეს და ამის გამო მასწავლებლის მოვალეობას **რიგიანად ვერ ასრულებდა, რაც იწვევდა უკმაყოფილებას მასწავლებელთა კორპორაციაში.**

ამ გარემოების მიხედვით ორი სამი თვის წინათ მე განზრახვა მქონდა, რომ **ბ. ცინცაძეს თავისით დაენებებინა თავი მასწავლებლობისათვის**“.

განაგრძობთ თქვენ ბრძნულ „თავის მართლებას“, მაგრამ იმას კი აღარ ამბობთ რათ განიზრახეთ, „რომ მე „თავი დამენებებინა მასწავლებლობისათვის!“.. და გამოდის, რომ თქვენ ან მთავრობის აგენტი ხართ, ან მტერი ქართულის მწერლობის.

რას გიშლიდათ ჩემი რედაქტორობა, რა წაგიხდინათ ჩემმა ჟურნალისტობამ?

იქნება გეშინოდათ, რომ გამოვამჟღავნებდი თქვენ საქციელებს და ლაქიად არ გაგიხდებოდით. თუ ამას ჰფიქრობდით, მართალი ბრძანებულხართ... მაგრამ მე იქამდე დაცემული არ მეგონეთ, რომ სინათლისა შეგშინებოდათ დი სოროებს მოსძებნიდით.

მე და ქვენ მარტო დირექტორი და მასწავლებელი არ ვიყავით. ჩვენ ამავე დროს ვიყავით წევრნი სარედაქციო ოჯახისა და აღმზრდელი ქართველი ახალთაობისა. თქვენ ყოველ დღე ხედავდით, როგორ ვმუშაობდი, როდის ვდგებოდი და როდის ვწვებოდი, კითხულობდით რასაც ვწერდი და ყურს უგდებდით, როგორც ვმსჯელობდი, თქვენ იცოდით როგორ მიყვარს ახალთაობა და როგორ ვზრუნავ მის აღზრდაზე და მთელი ორი წლის განმავლობაში ერთი უბრალო შენიშვნაც კი არ მიმიღია თქვენგან.

თუ თქვენ სათქმელი გქონდათ რამე და კი არ მეუბნებოდით, მით უფრო ცუდი თქვენთვის!.. თქვენ არ ყოფილხართ გულწრფელი ადამიანი და იეზიუტობა ჩაგიდენიათ, თუ კი გულში ჩემზე ძვირს ატარებდით და პირში კი მეღრიჯებოდით, მაქებდით და მადიდებდით.

ეშმაკი ხომ არ ვიყავ, გულში ჩაგძვრომოდით და სახეს კი ქრისტესას ატარებდით!...

„მე განვიზრახე ბ-ნ ცინცაძეს მასწავლებლობისათვის თავი დაენებებინაო“.

რათა, რისთვის? თქვენი განზრახვა იქნება ჩემთვის სავალდებულო არ იყო?..

მაგრამ უკაცრავათ თქვენ შავით თეთრზე სწერთ:

„ეს გარემოება (რედაქტორობა) და შეიძლება სხვაც (ეს სხვაც რაღა ეშმაკია, რატომ არ ბრძანებთ?) ხელს უშლიდა ბ-ნ ცინცაძეს და ამის გამო მასწავლებლობის მოვალეობას რიგიანათ ვერ ასრულებდა, რაც იწვევდა უკმაყოფილებას მასწავლებელთა კორპორაციაში“... (ხაზი ჩემია).

შარი და უტიფრობა ოუ გინდათ სწორედ ეს არის! მოვუწოდებ მასწავლებელთა კორპორაციას, თუ უმრავლესობა ბ-ნ ოცხელის ლაქიები არ არის,—უარსა ჰყონ ეს ცილის წამება.. ჩემი უკმაყოფილო შეიძლება იყო სულ ორი-სამი კაცი.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნ ოცხელი დიდი ენის ამყოლი კაცია, მთელი სისტემა მისი მმართვა—გამგეობისა, მეტი რომ არ ვსთქვა, ენატანიობაზეა აშენებული, მასწავლებელთა უმრავლესობა ლაქიებათა ჰყავს გადაქცეული და შეიძლება კიდევ სხვა ვინმეც უსარსარებდა ენას, რომ უფროსის გული მოეგო, თორემ პირადათ ჩემთან არავითარი ცუდი განწყობილება არა ჰქონია.—თუ ეს ასე არ არის მამხილონ და თითს მოვკაკვამ. .*)

რაც შეეხება იმ უტიფარ ბრალდებას, რომ ვითომც მე „ჩემს მოვალეობას კარგად ვერ ვასრულებდი“,—ჯერ უნდა ვაუწყო მკითხველებს ის პროგრამა, რომელიც მე უნდა შემესრულებინა. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მკითხველის წარმოდგენით ქართულ გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებელს დიდი მოვალეობა უნდა აწვეს და მისი შეუსრულებლობა მართლაც დიდი დანაშაულია. მეც ასე მეგონა, ვიდრე ქართულ გიმნაზიაში ჩავდგებოდი. მე მეგონა, რომ ქართულ გიმნაზიაში სამაგალითოდ არის მეთქი დაყენებული ქართულის სწავლების საქმე და მივისწრაფოდი იქით მთელი ჩემის არსებით არა მარტო სხვის სასწავლებლად, არამედ ჩემ სასწავლებლადაც, ვინაიდან კარგი მასწავლებელი მოწაფეებთან ერთად იმაზე მეტს სწავლობს, რაც თვითონ იცის. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მეოთხესა და მეხუთე კლასში ასეთი პროგრამა დამხვდა. (ამოწერილია ქ.-ქ. გიმნაზიის დაბეჭდილ პროგრამიდან).

ქუთაისი, 1911 წ. სტამბა ფერაძისა და კარნაუხოვისა.

მეოთხე კლასი.

I **გრამატიკიდან.** აქ მე-3 კლასის კურსს ათავებენ და წინა კლასში გავლილს იმეორებენ.

II. აქ იწყება **სიტყვიერების თეორია**, რომლიდანაც მოკლეთ და მარტივათ უხსნიან შემდეგს: რა არის სიტყვიერება? რა არის არახელოვნური და ხელოვნური სიტყვიერება? ვრცლათ უნდა განუმარტონ, თუ რა არის მოთხრობა (რომანთან შედარებით), რადგან ამ კლასში განსაკუთრებით მოთხრობები უნდა იკითხონ. აქვე თეორიიდან გადიან სტილისტიკას (ენის სისწორე, სიწმინდე, გარკვეულობა, სურათიანობა, კეთილხმოვანება).

III. უნდა შეისწავლონ მოთხრობები: ყაზბეგის—ელისო, ნინოშვილის— პალიასტომის ტბა, ლომაურის—ყოველი მხრიდან, გ. დ. კლდიაშვილის—სამანიშვილის დედინაცვალი, იაკეალაძის—ნენესა.

IV **ლექსები** ზეპირათ: **ილ. ჭავ.**: პოეტი, ქართლის დედას, გუთნის დედა, მუშა (აქა-იქ ადგილები).

აკაკის ჩონგური (ილიას პოეტთან შედარებით) მოდება ებრაელთა, მერანს, სულო ბორბალო. ნ. ბარათაშვილისა.

V რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მწერლობის მიმოხილვა (რადგან წინა კლასში გაცნობილი ყავთ).

VI თხზულება შედარებითი: მაგალ. ქალაქი და სოფელი, მთა და ბარი და სხვა ადვილის საგნების შესახებ მსჯელობითი ხასიათის თხზულება (წლის მეორე ნახევარში) მაგ. სწავლის სარგებლობა, წყლის სარგებლობა და სხვა.

*) მასწავლებელთა კორპორაციასა, ურთიერთობისა და ქ. გიმნაზიაში გამეფებულ რეჟიმზე ჩვენ ცალკე წერილები გვექნება. ი. ც.

მეხუთე კლასი.

I. **თეორიიდან**: ვრცლათ უთვალისწინებენ რახელოვნურისა და ხელოვნური სიტყვიერების, ადარგებს, პროზისა და პოეზიის განსხვავებას ეპოსს, არახელოვნურისა და ხელოვნური ეპოსის დარგებს.

II. განსაკუთრებით აქ **პოემებს ეცნობიან** და უნდა შეისწავლონ: ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილ. ჭავჭავაძის: „ყაჩაღის ცხოვრ.“ და „დედა და შვილი“. აკაკის: „თორნიკე ერისთავი“ (აღნიშნული პოემებიდან საუკეთესო ადგილები ზეპირათ).

III. შემდეგ მწერალთა ცხოვრებისა და მწერლობის მიმოხილვა: ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ლომაურის, ნინოშვილის, ია ეკალაძის და სხვა ბელეტრისტებისაც მოკლეთ.

IV. **სიტყვიერების ისტორიიდან** (ხახანაშვილის წიგნი): ქართული ან-ბანი, ძველი განათლების კერა და უძველესი ხელნაწერები, ქართული ენა და მისი კილოკავები (ისტორიულათ—ხახანაშვილის წიგნში, გრამატიკულათ—ს. ხუნდაძის გრამატიკის წიგნში: აქვე აგრეთვე ლ ე ქ ს თ ა წ ყ ო ბ ა).

V. თხზულება: მსჯელობითი ხასიათის თხზულება, შესწავლილ მოთხრობათა ტიპების დახასიათება, შესწავლილ მწერალთა მოღვაწეობის მიმოხილვა.

აი ის პროგრამები, მთელის თავისის სიგრძე სიგანით, რომელიც მე უნდა შემესრულებინა, როგორც მასწავლებელს ამ კლასებისას, ამასთანავე გთხოვთ ნუ დაივიწყებთ, რომ მეოთხე კლასში კვირაში **ოთხი** გაკვეთილია, მეხუთეში კი **სამი**. ახლა თქვენა გკითხავთ, მკითხველებო, მასწავლებლებო და არა მასწავლებლებო, რა დიდი და უზარმაზარი პროგრამა ეს არის, რომ ვერ შემესრულებინა? რა არის აქ ისეთი, რომ „მოვალეობისათვის“ მეღალატნა? მაგრამ ბ-ნი ოცხელი ისეთი კილოთი და რიხით იძახის „ცინცაძე თავის მოვალეობას ვერ ასრულებდაო“, გეგონებათ ქვეყანა იღუპებოდეს!...

მაგრამ როცა კაცს კაცის გაშავება უნდა, სისულელეც სიბრძნე ჰგონია!...

ი. ცინცაძე.

(დასასრული ხვალ)

ს ი ა.

(შემდ. იხილე № 130)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის სიზოგადოების ქუთაისის განყოფილების“ სასარგებლოთ 3 მაისს განზრახულ სეირნობა ადგილისათვის შემოსწირეს:

კონსტანტინე რუხაძემ სტოლის გადმოსაწმენდი და ფინჩხების ასაწმენდი ჩოთქი და ბატარა ხონჩა, 1 ბოთლი [illegible] ჯაჭვა.

ძმ. დღონტებმა—ტანსაცმელი, ბატარა ქანდაკება, ფარანი და კედლის გასაწყობი დიდი საინი. ძმ. ბეგოვებმა—რქის ბირსახოტის ჩამოსაკიდი, ორიმძიმე თუთფრის ზარი და 5 საფშვიტინო, ამხანაგობა „სამეგრელო“,—3 საბლუზე აბრეშუმის, ბატისტის და ქისაის და 10 არშინი კუმაჩი, კუპრაშვილმა—ბეჩენაე, ჩაი, დიმონი 2, შელიამ 1 ხანჯალი და 1 სალამური, ვართანოვმა—6 არშინი ბატდანკა, ბირადოვმა და ვართანოვმა 3 საბლუზე—აბრეშუმის, ქისაის და ბატისტის, „პროგოდნიკის“ ფირმამ—12 რიზინის ბულთი, 5 რეზინის დედოფალა, 5 რეზინის ცხოველების ტიკინი, ქ. რისიკო გაგუასმ მოაგროვა: ნუცა გაგუასაგან ალბომი და საბლუზე, გრიშა ქუთათელაძისაგან—50 კაპ. ანიკო გაგუას ქალისაგან—50 კაპ. ვლადიმერ ტყიბაფლავასაგან 1 მ. და 10 კ. ნეს ტორ დავითაიასაგან—1 საბლუზე, მიშა არჯევანიძისაგან—1 დიდი კოლოფი კონფეტი, ალექსანდრე ჯიჯალავასაგან—1 შეკვრა ბეჩენაე, კიმოთე გაგუამ 1 კოლოფი მოხასაე, რაუდენ საგანაძემ—1 ქოთანი უკვალი, პეტრე მარიკამ—ბატარა ეტაკერკა, პეტრე და მიხეილ გოკიელოვებმა—2 კოლოფი კანფეტა, 2 კოლოფი კონფერტი, 10 გირვანქა შაქარი, 1 შუშა გუმარმეკი, 1 შეკვრა ფოშტის ქაღალდი და გასახვევი ფერადი ქაღალდი, ქნა მინადორა ალექსის ასულმა ბოკერია საშ.—5 არშინი საბლუზე აბრეშუმი, მანვე მოაგროვა შეწირულება: კონსტანტინე ტქიფურიშვილისაგან—10 შ. მიხეილ ერანოსოვისაგან—10 შ. რაუდენ შარაშიძისაგან—1 აბ. მაიკო მანაგაძისაგან—10 შ. ქეთო ბოკერიდ მეუღლისაგან—10 შ. იზმაილ მესხისაგან—1 მან. ჯიბო საშვილისაგან—1 მან, ოდდა ქარდავს მეუღლისაგან—1 მან. ნადეჟდა მასხულიას მეუღლისაგან—10 შ. აგრაფენა ქელბაქიანის მეუღლისაგან—ხვერდზე მოქარგული ბალიშის საპირე ანნა კანდელაკის მეუღლისაგან—1 სურათი და 1 მან. ფულათ, ვასასი ქართველიშვილის მეუღლისაგან—6 შ. სიმონ აბულაძისაგან—1 მან. კატო კიკიანის მეუღლისაგან—ტოლოს მოქარგული პირსახოცი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ეოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ჯაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოგოლაძის

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.